

## **ეპიდ. ზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები**

### **1. რუტინული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების წარმოება**

მიზანი :

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება კონტროლის გზით.

ამოცანები:

1. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განმარტება.
2. დაავადებათა პროფილაქტიკის და კონტროლის ეფექტური და სწრაფი რეალიზაციის საფუძვლების ფორმირება.
3. ლაბორატორიულ დადასტურებაზე დაყრდნობილი ეპიდ. ზედამხედველობის მაღალხარისხოვანი და მგრძობიარე სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

### **პროგრამის განხორციელების აუცილებელი დასაბუთება:**

ოპერატიული, სანდო და მაღალხარისხიანი ეპიდ. ზედამხედველობის სისტემა საშუალებას იძლევა სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოხდეს ეპიდსიტუაციის გამწვავებაზე, პროგნოზირებადი იყოს ეპიდსიტუაცია, განისაზღვროს უახლესი და პერსპექტიული პრიორიტეტები, მომავალი ჯანდაცვითი და სოციალური ღონისძიებების მიმართულებები და რეალური საჭიროებები, რაც საფუძველს უქმნის ქალაქის მოსახლეობის ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცებას, შესაბამისად სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### **გათვალისწინებული ღონისძიებანი:**

1. მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების ტენდენციებისა და დინამიკის, ინფექციურ დაავადებათა მასშტაბების გავრცელების ხასიათისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ყოველკვარტალურად შესწავლა. შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური შედეგების მიხედვით, აღნიშნული მიმართულებებით ყოველკვარტალური ანგარიშების წარმოება.
2. ტერიტორიების ნოზოლოგიების მიხედვით ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო ზონებად დაყოფა და შესაბამისი სამუშაო რუკების შედგენა. დაავადებათა რაოდენობრივი სტატისტიკური და ლოკალიზაციის მაჩვენებლების მიხედვით კონკრეტული დაავადებების მხრივ არაკეთილსაიმედო ზონების გამოყოფა და მეთვალყურეობის გაძლიერება.
3. ინფექციური დაავადებების აღმოცენების შემთხვევაში, ეპიდპროცესის კონკრეტული მიზეზებისა და მათი განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა. ნორმატიულად დადგენილ შემთხვევებში ეპიდემიოლოგების მიერ დაავადების კერაში ეპიდკვლევის წარმოება.
4. ეპიდემიური სიტუაციის გართულების შემთხვევაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და ჯანდაცვის კომპეტენტური სამსახურების დროული ინფორმირება.
5. პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ადექვატური სისტემების მათი თანამიმდევრობის, რეალიზების ვადებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა. როგორც დაავადებათა კონკრეტულ შემთხვევებში, ისე სეზონურობით

ან ტერიტორიული ლოკალიზაციებით ხასიათებად დაავადებათა დაფიქსირების ან მოსალოდნელობის შემთხვევაში, კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება.

6. ამავე პროგრამით გათვალისწინებული პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების მასშტაბების, ხარისხის, ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის სესწავლა და საჭიროებისამებრ, მათი პერიოდული კორექტირების მიზნით წინადადებების შემუშავება. შესრულებული სამუშაოს და მისი როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე ეკონომიკური ეფექტის (გაწეული ხარჯის) ანალიზის საფუძველზე, 6 თვეში ერთხელ აუცილებლობის შემთხვევაში დაგეგმილი ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულების კორექტირება.
7. ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის ინფორმაციული (დოკუმენტალური) უზრუნველყოფის მიზნით, ადგილებზე მონაცემების შეკრება, მოძიება, რეგისტრაცია და დამუშავება—ანალიზი.
8. სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციური ავადმყოფობით დაავადებული პაციენტის მიმართვის შემთხვევაში, ადეკვატური ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სასწრაფო შეტყობინების მიღების და სხვა კომპეტენტურ სამსახურებზე ოპერატიულად ინფორმაციის მიწოდების მიზნით მკაცრი კონტროლის განხორციელება.
9. სამედიცინო დაწესებულებიდან, დადგენილი წესით, ნოზოკომიურ (საავადმყოფოს შიდა) ინფექციებზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მითითებულ სამკურნალო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელება.
10. ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა რეალიზება (მ.შ საჭიროებისას სადუზინფექციო და სადუზინსექციო სამუშაოების წარმოება)
11. ინფექციურ დაავადებათა სპეციფიკურ პრევენციული ღონისძიებების გატარების ორგანიზება, კერძოდ მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება, კონკრეტული სიტუაციისადმი ადეკვატური ქმედებების მითითება.
12. არაინფექციურ დაავადებათა კონტროლი, ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება. სათანადო ინფორმაციის შეკრება, მოზიება, რეგისტრაცია, დამუშავება, ანალიზი და ყოველკვარტალური ანგარიშგება, პროფილაქტიკურ—საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება მოსახლეობაში.
13. ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების გარემო ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მიღება კომპეტენტური ორგანოებისაგან (ზედამხედველობის სამსახური,) პრევენციულ ღონისძიებათა (დეზინფექცია, დუზინსექცია, მთლიან მოსახლეობაზე ან კონკრეტულ სამიზნე კონტიგენტზე ადეკვატური რეკომენდაციების ან კატეგორიული სახის მოთხოვნების მიწოდება) გეგმების შემუშავება და განხორციელება კომპეტენტის ფარგლებში.
14. ყოველკვირეული (ოპერატიული) ყოველთვიური, წლიური ანგარიშების მომზადება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.
15. პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის განხორციელების ორგანიზაცია, სამიზნე კონტიგენტების განსაზღვრა და მათი იმუნიზაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით იმუნიზაციის უშუალოდ განმხორციელებელი მედ.პერსონალისათვის სათანადო მითითებების და რეკომენდაციების მიწოდება.

16. სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შენახვა, გაცემა სამედიცინო დაწესებულებებზე და ანგარიშგება დადგენილი ფორმებით.
17. ჰელმინთოზების მიზანმიმართული სკრინინგული კვლევების საფუძველზე პროფილაქტიკური ხასიათის რეკომენდაციების და მითითებების მიწოდება. კვლევას ექვემდებარება სამედიცინო დაწესებულებებიდან მიმართვით შემოსული პაციენტები და სკოლამდელი დაწესებულებების კონტიგენტი.
18. სეზონთან დაკავშირებით მოსახლეობასთან გრიპით ავადობის მონიტორინგი (ნებისმიერი ტიპის სამედიცინო დაწესებულებიდან შემოსული შეტყობინება, აღნიშნული დაავადების მითითებით.) და მისი ფართოდ გავრცელების საწინააღმდეგო რეკომენდაციების მომზადება
19. ტუბერკულოზის კერებში მგბ დადებით შემთხვევებთან კონტაქტში მყოფი პირების გამოვლენა და კონტაქტების სკრინინგულად გამოკვლევა ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო (აქტიურ ტუბერკულოზზე) მათ შორის პირველადად უარყოფით პირებში.
20. ქალაქში ტუბერკულოზით ავადობის მონიტორინგი.
21. სქესობრივი გზით გადასდებ დაავადებათა კერებში ეპიდკვლევის წარმოება და მონიტორინგი.

## **მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის**

### **ღონისძიებები**

**მიზანი:**

ქ. რუსთავში ცოფის კერის ლიკვიდაცია.

**ამოცანები:**

1. დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა.
2. სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება.
3. დაკბენილი და დადორბლილი ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის და კონტაქტების ეპიდემიოლოგიური შესწავლა

### **გათვალისწინებული ღონისძიებები:**

1. ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებების გეგმის განხორციელებაზე მეთვალყურეობა.
2. ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე სისტემატური მონიტორინგის წარმოება და ყოველი საეჭვო შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში კომპეტენტური სამსახურების დროული ინფორმირება.

ანტირაბიული კაბინეტის ფუნქციონირების ხელშეწყობა - სამედიცინო

ლოკუმენტაციის წარმოების და სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვის შესახებ.

3. ანტირაბიული მომსახურების სწორი ტაქტიკის და „ცივი ჯაჭვის“ მოთხოვნათა დაცვაზე მონიტორინგი. ანტირაბიული მომსახურების ეპიდანალიზის წარმოება. ყოველკვარტალურად ანტირაბიული კაბინეტის მიერ გაწეული მომსახურების მონიტორინგი და არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეპიდანალიზის წარმოება.
4. სამოქმედო ტერიტორიაზე „ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 იანვრის №70 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქ. პრეზიდენტის 2002 წ. 16 აპრილის №173 ბრძანებულებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ყოველკვარტალური ანალიზი და შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.
5. ჰიდროფობიის საექვო დიაგნოზით ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით პათ. მასალის ლაბორატორიული გამოკვლევის ხელშეწყობა და ჰიდროფობიით ადამიანის გარდაცვალების თითოეული შემთხვევის საგანგებო განხილვის ორგანიზაცია.
6. ადამიანისთვის ჰიდროფობიის დიაგნოზის დასმისა და ცოფზე საექვო ცხოველთან ადამიანის კონტაქტის ყველა შემთხვევის შესაბამისი სამსახურებისთვის სასწრაფოდ შეტყობინება.
7. განსაზღვრულ შემთხვევებში ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაკბენა-დაკაწვრა-დაღორბვლის შემთხვევების ეპიდემიოლოგიური შესწავლა.
9. ანტირაბიული დახმარების საკითხებზე მოსახლეობასთან პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა. (სატელევიზიო გამოსვლები, ინფორმაციის შემცველი თვალსაჩინო მასალის გავრცელება, პრესის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება.
10. ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის რეგისტრაცია, შენახვა და გაცემა სამედიცინო დაწესებულებებზე და ანგარიშგება დადგენილი ფორმით.

### ***ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის და არგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიება***

ქვეყანაში გავრცელებული ჯანმრთელობისთვის საზიანო ცხოვრების წესი, როგორც ინფექციურ ასევე არაგადამდებ დაავადებათა ზრდის მიზეზს წარმოადგენს. ამდენად, განსაკუთრებული პრიორიტეტი მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება უნდა გახდეს. უპირატესობა უდაოდ ენიჭება ახალგაზრდა და მოზარდ მოსახლეობას. ქ. რუსთავის მოსახლეობის გაუარესებული ჯანმრთელობის ერთ-ერთი

ძირითადი მიზეზი არაჯანსაღი წესის მასობრივი გავრცელებაა. არადამაკმაყოფილებელი სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობები მანვე პროდუქციის მოხმარება, არასრულფასოვანი კვება, მანვე პროდუქციის რეკლამა (თამბაქო, ალკოჰოლი, ძალადობა, შეუზღუდავი სქესობრივი ცხოვრების „ხიბლი“). ყოველივე ეს ასახავს საზოგადოების აქტიურ მიმდებლობას ჯანმრთელობისთვის სახიფათოფაქტორებისადმი.

**მიზანი:** ქალაქ რუსთავის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მანვე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის განვითარების ხელშეწყობა.

**ამოცანები:**

- ა) მოსახლეობის ინფორმირება, ჯანმრთელობის ხელშემშლელ ფაქტორებზე.
- ბ) ნარკომანიის პრევენცია.
- გ) შიდსის და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა პრევენცია.
- დ) რაციონალური, ჯანსაღი კვების, ქცევების და უნარ-ჩვევების დამკვიდრება.
- ე) არაგადამდებ დაავადებებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზება.

**ღონისძიების რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთება:**

მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ პროფილაქტიკური განათლების და ჯანსაღი უნარ-ჩვევების დაბალი დონე. არაინფექციურ და ინფექციურ დაავადებათა ადრეულ სტადიაზე გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი.

**ღონისძიებები:**

თამბაქოს, ალკოჰოლიზმისა და მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ნარკომანიის და ძალადობის პროფილაქტიკის, ჯანსაღი კვების და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობის ღონისძიებები. თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების მანვებლობის შესახებ, მოსახლეობის—კონკრეტული სამიზნე კონტიგენტის ინფორმირება ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით, როგორცაა; პრესა-ყოველთვიურად, სატელევიზიო-წელიწადში ორჯერ, საინფორმაციო ბუკლეტები, ბროშურები-კვარტალურად, ღონისძიებების მიხედვით. სკოლის და სკოლამდელ დაწესებულებების კონტიგენტთან ლექცია-საუბრების მოწყობა.

- ა) შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა. სამუშაო გეგმის მიხედვით გაწერილ პერიოდში მაღალი რისკის ქვეშ მყოფ სამიზნე კონტიგენტის ინფორმაციის

სხვადასხვა საშუალებებით ინფორმირება დაავადებისგან თავდაცვის და სწორი ქცევების შესახებ.

გ) სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვის იმ პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში, რომელიც მოიცავს არაგადამდებ დაავადებებს – დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა, გულ-სისხძარღვთა დაავადებებით გამოწვეული ავადობის შემცირება, ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის გაუმჯობესება, ტრამვატიზმის პრევენცია და ა.შ საგანმანათლებლო-საინფორმაციო მუშაობის ჩატარება. ჩამოთვლილი პრიორიტეტების ფარგლებში მაღალი რისკ-ფაქტორების ქვეშ მყოფი კონტიგენტის შერჩევა (არაგადამდებ დაავადებათა დაკვირვების გზით.) საგანმანათლებლო ტიპის ინფორმაციის მომზადება და ინფორმირების სხვადასხვა საშუალებებით შერჩეულ კონტიგენტთან მუშაობა, სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

ვ) სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის ( სათანადო დონის ჯანმრთელობის ცნობის) მონიტორინგი, კვარტალში ერთჯერ.

### **მაღარიის ელიმინაციის ღონისძიებები**

ქ. რუსთავი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლის რეგიონში და წარმოადგენს რეგიონალურ ცენტრს. მისი ფართობი შეადგენს 6073 ჰა. ხოლო მოსახლეობა – 116 175 კაცს. ქალაქ რუსთავს ესაზღვრება გარდაბანისა და მარნეულის რაიონები. ქალაქი ზღვის დონიდან 374 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ჰიფსომეტრული ზონალობის მიხედვით განეკუთვნება ჰიპერმაღარიოგენურ ზონას, რომელიც ხასიათდება ეპიდფაქტორთა მაღალი რისკით. გასათვალისწინებელია მოსაზღვრე რაიონებთან მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მაღარიის განახლება-გავრცელების შესაძლებლობის მხრივ. რუსთავის კლიმატი გამოირჩევა თავისი სიმკაცრით, ზაფხული (ივლისი, აგვისტო) ძლიერ ცხელი და მშრალი, ხოლო ზამთარი (იანვარი, თებერვალი) მკაცრი. წლიური ნალექების ძირითადი რაოდენობა მოდის გაზაფხულზე. ყველაზე ცხელი თვეების დღე-ღამური საშუალო ტემპერატურა 28,6°C-30,0°C – შორის მერყეობს, ხოლო ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღირიცხება იანვარ-თებერვალში და საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა – 1,4°C-3,7°C-ს შორის მერყეობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსთავის ნიადაგები გამოირჩევა გრუნტის წყლების სიუხვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ანოფელოგენური წყალსატევების წარმოშობას, ასევე აღსანიშნავია, რომ ქალაქი რუსთავი გაშენებულია მდ. მტკვრის სანაპიროზე და გარს ეკვრის ბუნებრივი ტყე, რაც განაპირობებს ქალაქის ტერიტორიაზე აღრიცხული ანოფელესების ფაუნას. საქართველოში აღრიცხული ანოფელესის 8 სახეობიდან ქალაქ რუსთავში 2 სახეობაა გავრცელებული, ძირითადად აღინიშნება *an. maculipennis* და *an. Plumbeus*-ი.

ქალაქ რუსთავში მაღარიის განახლება მოხდა 1999 წელს. ყველა იყო შემოტანილი, ადგილობრივი შემთხვევა არ ყოფილა.

**მიზანი:** მაღარიის ელიმინაცია მისი კონტროლის და პროფილაქტიკური

სამუშაოების განხორციელების გზით.

## ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიებები	შესრულების ვადა	შემსრულებელი
1.	<p>ჯანმოს სტანდარტების მიხედვით ცენტრალურ და რაიონულ (ქალაქის) დონეებზე შემუშავებულ/გა-ნახლებული იქნას მაღარიასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. (მონაცემთა ბაზა, შემთხვევების საადრიცხვო ფორმები, შეტყობინების ფორმა, მაღარიის კერების კლასიფიკაციის ფორმა, წყალსატევების პასპორტიზაცია და სხვ.) რომელიც წარდგენილი იქნება ქვეყნის სერტიფიცირებისათვის.</p>	2017 წ.	<p>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p> <p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
2.	<p>სხვადასხვა კატეგორიების შტატების განმტკიცება, რომლებიც მუშაობენ რეალიზაციის პროგრამაზე</p>	2017 წ. ეპიდ. სეზონის დაწყებამდე	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
3	<p>დასრულდეს ტერიტორიის მაღარიოგენული სტრა-ტიფიკაცია.</p>	2017 წ.	<p>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p> <p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
4.	<p>სტაციონარებში, პოლიკლინიკებში, ამბულატორი-ებსა და ბინაზე დახმარების დროს სისხლის სქელი წვეთისა და თხელი ნაცხებია აღება-გასინჯვა ყველა იმ სიცხიანი ავადმყოფებისათვის, რომლებიც ეპიდანამნეზის მიხედვით საეჭვო იქნება მაღარიით დაავადებაზე</p>	წლის განმავლობაში	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
5.	<p>სისხლის სქელი წვეთისა და ნაცხების აღება შემდ-გომი მიკროსკოპით, აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანიდან ჩამოსული ან დაბრუნებული ყველა პირისათვის, მიუხედავად დიაგნოზისა სტაციონარში ყოფნის, ბინაზე დახ-მარების ან პოლიკლინიკაში</p>	კვარტალში ერთხელ და დაბრუნებიდან 3 წლის განმავლობაში	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>

	მიმართვისას.		ცენტრი
6.	<p>მაღარიული კომის და სხვა მძიმე გართულების თავიდან აცილების მიზნით აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანიდან ჩამოსული ან დაბრუნებული ყველა პირის, (სიცხიანი მდგომარეობისას სისხლის სქელი წვეთის გასინჯვამდე და პასუხის მიღებამდე) წინასწარი მკურნალობა ტროპიკული მალარიის საწინააღმდეგო მედიკამენტებით (უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე მკურნალობა წყდება, ხოლო პლაზმოდიუმის აღმოჩენისას გრძელდება)</p>	<p>საჭიროებისას ყოველწლიურად</p>	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p> <p>სამედიცინო დაწესებულებები სტაციონარები</p>
7.	<p>მალარიის კერაში და მის გარშემო 3 კმ-იან ზონაში მოსახლეობის კარდაკარ შემოვლა სისხლის სქელი წვეთის და ნაცხების აღებით და გასინჯვით, პარაზიტ მატარებლების, მალარიით დაავადებულების ან მალარიაზე საეჭვო პირების გამისავლენად.</p>	<p>ყოველწლიურად ეპიდსეზონის განმავლობაში მალარიის შემთხვევის გამოვლენისთანავე</p>	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p> <p>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>
8.	<p>მალარიაზე დადებითი და უარყოფითი სისხლის ყველა პრეპარატი უნდა გადამოწმდეს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ და ადგილზე ინახებოდეს პროგრამის დასრულებამდე</p>	<p>2017 წ.</p>	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
9.	<p>მალარიის შემთხვევების პასიური და აქტიური გა-მოვლენა</p>	<p>ყოველწლიურად ეპიდსეზონში</p>	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>
10.	<p>სამედიცინო მეთვალყურეობა მალარიით დაავადებულებზე და მათი ოჯახის წევრებზე, აგრეთვე სა-  ქართველოში მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებიც დაბრუნდნენ მალარიის ენდემური ქვეყნებიდან.</p>	<p>ავადმყოფის გამოვლენისთანავე</p>	<p>ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი</p>



11.	ჩაუტარდეთ მკურნალობის სრული კურსი მაღარი-ით დაავადებულებს, პარაზიტმტარებლებს, აგრეთვე მაღარიაზე საეჭვო ანამნეზის მქონე პირებს, რომელთაც აღრე ქიმიოთერაპიის ან ქიმიოპროფილაქტიკის მიზნით მიღებული ჰქონდათ მაღარიის შეტევის შემწყვეტი პრეპარატები და გამოკვლევისას არ აღმოაჩნდათ მაღარიის პარაზიტები.	გამოვლენისთანავე	
12.	მაღარიის გადაცემის სეზონის პერიოდში ჩატარ-დეს მაღარიის აქტიური კერების მონიტორინგი	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
13.	ყველა იმ პირს, რომელსაც მაღარიის დიაგნოზი დაუდასტურდება ლაბორატორიულად, მკურნალობა, რიგგარეშე შეტყობინების დაუყოვნებლივ წარდგენით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებ-რივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში	გამოვლენისთანავე	
14.	სეზონური და სეზონებს შორის შუალედში ჩატარ-დეს ქიმიოპროფილაქტიკა იმ შემთხვევაში თუ თავი იჩინა მაღარიის ახალმა კერებმა.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
15.	ინდივიდუალური ქიმიოპროფილაქტიკა უნდა ჩაუტარდეს ყველა იმ პირებს, რომლებიც მიემგზავრებიან მაღარიაზე ენდემურ ქვეყნებში.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
16.	მაღარიის ყველა გამოვლენილი შემთხვევა ექვემდებარება კლასიფიკაციას ჯანმოს რეკომენდაციით. ასევე უნდა მოხდეს თითოეული შემთხვევის ეპიდ.კვლევა.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
17.	ჩატარდეს კერების კლასიფიკაცია და მათი სტატუ-სის დინამიკის მონიტორინგი	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი

18.	მოხდეს კერების პასპორტიზაცია და მათი განლაგების გადატანით გეოგრაფიულ რუქაზე	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
19.	მალარიის ყველა გამოვლენილი და საექვო შემთხვევა უნდა იქნეს სასწრაფოდ შეტყობინებული დარეგისტრირებული და შეტანილი მონაცემთა ბაზაში.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
20.	განახდეს აღრიცხვა-ანგარიშის ფორმები და წარდგენა მოხდეს ნაციონალური პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
21.	უზრუნველყოფილი იქნეს რეგულარული ინფორმაცის გაცვლა დაავადებათა კონტროლისა და სა-ზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრ-თან.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
22.	ყველა ანოფელოგენური წყალსატევის აღრიცხვა პასპორტიზაცია და დაგამზუხირებული წყალსატეგების რაოდენობის დადგენა.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
23.	ყველა ანოფელოგენურ წყალსატეგში გამზუხირის მაქსიმალური გავრცელება.	ეპიდსეზონის დაწყებამდე	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
24.	მცირე სანიტარულ-ჰიდრიტექნიკური (საბონიფიკაცია-ციო) სამუშაოების – წყალსატევის გაწმენდა წყალმცენარეებისაგან, ბამბისგან, მათი დაშრობა, მიწით ამოვსება და სხვა სისტემატური განხორციელება.	ეპიდსეზონის განმავლობაში	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი

25.	მაღარიის გადამტანზე ფენოლოგიური დაკვირვებები რიცხოვნობის სეზონური აღრიცხვა	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
26.	კერების ხანგრძლივი მოქმედების ინსექტიციდებით დამუშავება ჩატარდეს ეპიდემიოლოგიური სიტუაციის და ტერიტორიის სტრატეგიკაციის გათვალისწინებით.	პირველი დამუშავება სეზონის დაწყებამდე აპრილში. მეორე დამუშავება აგვისტოში	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
27.	ინფექციის აქტიური გადატანის პერიოდში მაღარიის ახალი შემთხვევების გამოვლენისას კერაში შენობების შიდა დამუშავება მოხდეს ხანგრძლივი მოქმედების ინსექტიციდებით.	შემთხვევის გამოვლენისთანავე	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
28	მეთვალყურეობა მაღარიის სანიტარულ-ჰიდროტექნიკურ სამუშაოებზე მშენებარე და ექსპლუატაციის მყოფი ჰიდროელექტროსადგურების ტერიტორიაზე, მშენებლობებზე, სამელიორაციო და თევზსაშენ ნაგებობებზე.	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
29.	შეიქმნას და მუდმივად განხორციელდეს მედიკამენტების ინსექტიციდების და სხვა საჭირო აღჭურვილობის რეზერვი.	2017 წ.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი  ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი
30.	მოსახლეობის აქტიური ინფორმირება და მისი მართვა მაღარიის პროფილაქტიკის ღონისძიებებში	2017 წ.	ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი

# *რუსთავის საცხოვრებელი ბინების დერატიზაციის*

## *ღონისძიება*

### **ღონისძიების აღწერა:**

დერატიზაცია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსის აუცილებელი ნაწილია, რომელსაც არსებითი როლი ენიჭება დასახლებულ პუნქტებში მთელი რიგი ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკაში. მღრღნელები სახლდება და მრავლდება ყველა კატეგორიის შენობა-ნაგებობებში, რომლებსაც გადაქვთ სოციალურად საშიში დაავადებები.

პროფილაქტიკურ-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება ემსახურება მოსახლეობისათვის ცხოვრების უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას, ეპიდსიტუაციის გაჯანსაღებას იმ ინფექციური დაავადებების გავრცელების ხელისშეშლას, რომლის გადამტანებიც არიან მღრღნელები.

### **ღონისძიების მიზანი**

ღონისძიების მიზანია სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება.

### **ღონისძიების ამოცანა**

წელიწადში 12-ჯერადი (ყოველთვიური) დერატიზაცია, საცხოვრებელ ბინებში მღრღნელების მოსპობის მიზნით.

## *სანიტარულ - ჰიგიენური ღონისძიებები*

### **ღონისძიების აღწერა :**

მოსახლეობისათვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ე.წ. ჰიგიენური მონიტორინგი. ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემების ანლიზი, შეფასება და პროგნოზი, აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გარემო ფაქტორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის განსაზღვრა.

მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვითი კანონმდებლობისა და ამ დებულებების შესაბამისად დადგენილი წესების მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და წესების აგრეთვე მეთოდური მასალების საფუძველზე. საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დადგენილი ვადების შესაბამისად ქვეყანაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდ.სიტუაციის, აგრეთვე მოსახლეობისათვის მავნე გარემო ფაქტორებით შექმნილი რისკის გათვალისწინებით.

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება.

მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის და გარემოს მდგომარეობის პროგნოზირება და რისკის შეფასება.

ადამიანის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით თვითმმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად, წინადადებების მომზადება. მონიტორინგის ჩატარებისას მიღებული შედეგების შესახებ, საზოგადოებრიობის ინფორმირება.

სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი ხორციელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებსა და გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების გზით.

სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი განხორციელებისას გამოყენებული იქნას დაკვირვებები და მონაცემები შემდეგ ფაქტორებზე:

1. ბიოლოგიური ფაქტორები (ვირუსული, ბაქტერიოლოგიური, პარაზიტოლოგიური)
2. ქიმიური (მძიმე მეტალები, მდგრადი ორგანული დაბინძურებები)
3. ფიზიკური (ხმაური, მაიონებელი და არამაიონებელი)
4. ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში წყალმომარაგება
5. ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სარეკრეაციო ზონისა და დასასვენებელი პარკების პერიოდული შესწავლა ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით
6. ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით.

მონიტორინგის შედეგები გამოყენებულ იქნას სამოქმედო ტერიტორიის დასახლებულ ადგილებში ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის საკითხებზე ღონისძიებების შესამუშავებლად.

### **უშუალო ღონისძიებები:**

1. დასახლებული პუნქტების დასუფთავების მონიტორინგი
2. დასახლებული პუნქტის სელიტურ ზონაში გამწვანების მდგომარეობის მონიტორინგი
3. კულტურის და დასვენების პარკში ტბის წყლის, აგრეთვე ნიადაგის ჰიგიენური შეფასების მონიტორინგი.
4. კულტურის, სპორტის, და საგანმანათლებლო დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა.
5. საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობა
6. ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი:
  - ა) ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება და ჰიგიენური შეფასება.

- ბ) ორგანიზებული კვების რაციონის შესწავლა და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიული კვლევა.
- გ) ბავშვთა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში იოდიზირებული მარილის არსებობის და გამოყენების მონიტორინგის ჩატარება ლაბორატორიული გამოკვლევებით.
- დ) 2016-2017 სასწავლო წლისათვის სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა დავალების წარდგენა საზედამხედველო ობიექტებისათვის.
- ე) ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება სკოლამდელი დაწესებულებების ნიადაგის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად.
- ვ) სკოლამდელ დაწესებულებებში ინვენტარის ჩამონარეცხებისა და მომსახურე პერსონალის ხელის ჩამონაბანების გამოკვლევა.
- ზ) მზა კერძების ნიმუშის აღება და გამოკვლევის ჩატარება.
- თ) ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სასმელ-სამეურნეო წყლის ლაბორატორიული კვლევა.

**ღონისძიების ამოცანები:**

ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით.

**ქრუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.**

**ღონისძიების რეალიზების აუცილებლობის დასაბუთება**

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის ტერიტორია, რომელიც მოიცავს ქრუსთავს და მისი კლიმატური ფონის განმსაზღვრელ ქვემო ქართლის ვაკეს, მოყვანილი რეჟიმულ-მეტეოროლოგიური პარამეტრებით ხასიათდებიან ქვეწარმავლების გავრცელებისთვის ერთ-ერთ ხელსაყრელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონად. ბოლო წლების სტატისტიკა გვიჩვენებს რომ ქალაქში აქტიურად მომრავლდნენ ქვეწარმავლები,რის გამოც აუცილებელი გახდა ჰერპეტოლოგიური მეთვალყურეობა.

**ღონისძიების მიზანი:**

ღონისძიების ძირითადი მიზანია ქრუსთავის, როგორც ქვეწარმავალთა გავრცელების ბუნებრივი ზონის, მაქსიმალურად დაცვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან და შესაბამის სიტუაციებში ოპერატიული რეაგირება. ღონისძიების განხორციელებას მოემსახურება ჰერპეტოლოგთა სამკაცციანი ჯგუფი. ღონისძიების

მიზანს წარმოადგენს ასევე ქ. რუსთავის დასახლებულ ტერიტორიაზე ბოლო წლებში დაფიქსირებულ ქვეწარმავალთა მომრავლებისა და მათი ცხოველმყოფელობის გააქტიურების ფაქტორები. აგრეთვე სპეციალისტ-ჰერპეტოლოგების მიერ განხორციელებული კვლევებისა და მოქმედი ჯგუფის პრაქტიკული საქმიანობით მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებში დადაბულობის განმუხტვის მიზნით, ე.წ. „ცხელი წერტილების“ გამოვლენა და კონტროლზე აყვანა.

#### ღონისძიების ამოცანები:

1. ქ.რუსთავის ტერიტორიისა და მისი შემოგარენის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და მიზნობრივი შეფასება. ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების სავარაუდო კერების დადგენა.
2. მოსახლეობაში კონსულტაციებისა და თვალსაჩინო მასალების დემონსტრირება შხამიან და „საშიშ“ ცხოველებთან ურთიერთობის საკითხებზე.
3. „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (შხამიანი და უშხამო გველები, ხვლიკები, მორიელი და სხვ.) გაუვნებელყოფის პრაქტიკული ღონისძიებების გატარება.
4. მოსახლეობაში საუბრების, კონსულტაციებისა და ახსნა განმარტებების ჩატარება შხამიანი ცხოველების შეხვედრის ან დაგესვლის შემთხვევაში აუცილებელი, სამედიცინო თვალსაზრისით სწორი მოქმედებების შესახებ.
5. ქალაქში ქვეწარმავლებთან, განსაკუთრებით შხამიან ფორმებთან პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება.